შპს
ინოვაციების სკოლა
LTD School of
Innovations
ს/კ 416372696
(Identification Code)

ქ. რუსთავი **01 სექტემბერი, 2023 წ.**

ბრძანება N 2/19

შპს „ინოვაციების სკოლის“ ექვსწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადებისა და 2023-2030 სასწავლო წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ

შპს ინოვაციების სკოლის დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის 2.12. ქვეპუნქტის საფუძველზე, ა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ინოვაციების სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 12 დეკემბრის N 2/10 ბრძანებით დამტკიცებული 2022-2028 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა.
2. დამტკიცდეს შპს „ინოვაციების“ 2023-2030 სასწავლო წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სკოლის საქმისმწარმობელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №6, 3700).,

შპს „ინოვაციების სკოლის“
დირექტორი /ქ. კაპანაძე/

შპს ინოვაციების სკოლის
შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

2023-2030 წლები

შპს ინოვაციების სკოლა არის კერძო ზოგადსაგანმაანთლებლო დაწესებულება, რომლის ისტორიაც 2023 წლის 5 მაისიდან იწყება. დღესდღეობით სკოლა მოსწავლეებს სწავლებას სთავაზობს ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. კურსდამთავრებულებს საშუალო საფეხურის დონის დაძლევის შედეგად ეძლევათ ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

შპს ინოვაციების სკოლის მისიაა

შპს ,,ინოვაციების სკოლის" მისიაა შექმნას ისეთი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების განვითრების, ახლის ძიების გზით ისეთი უნარ-ჩვევების ფორმირებაზე, რომლებიც მოსწავლეს მიცემს საშუალებას ჩამოყალიბდნენ კონკურენტუნარიან პიროვნებებად და შეძლონ ადაპტირება სწრაფად განვითარებად გლობალურ სამყაროში. ანუ მოსწავლე მოვამზადოთ მომავალი ცხოვრებისათვის.

სკოლის მისიიდან გამომდინარე სკოლის ხედვაა

1. სკოლაში, ესგ-ით განსაზღვრული პროგრამების სწავლა/სწავლების პარალელურად არაფორმარული სწავლების (ინოვაციურობაზე დაყრდნობით) დანერგვა-განვითარების გზით, შვიდი წლის შემდეგ საქართელოს საუკეთესი კერძო სკოლების ათეულში მოხვედრა.
2. სკოლის კარგი ფუნქციონერებისათვის, შვიდი წლის შემდეგ სკოლას უნდა ქონდეს საკუთარი ბაზა.

რაც შეეხება ღირებულებებს, შპს ინოვაციების სკოლის ღირებულებებია

- ინოვაციურობა:
- პროფესიონალიზმი
- გუნდურობა;
- არაფორმალური განათლების დანერგვა განვითარების ;

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას, რომელსაც უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის, გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალისა და ეფექტური სასწავლო პროცესის კომბინაციით.შპს ინოვაციების სკოლა მიზნად ისახავს, მოამზადოს დემოკრატიული ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების მიმდევარი კურსდამთავრებულები და ამით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში.

სასწავლო კურიკულუმები შექმნილია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. სკოლა განუწყვეტლივ ზრუნავს სასწავლო პროცესში მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების მოზიდვა-ჩართვაზე. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის შპს ინოვაციების სკოლა მუდმივად აძლიერებს აკადემიურ რესურსს და ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

შპს ინოვაციების სკოლის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში. მიზნის მისაღწევად ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, აახლებს სასწავლო პროგრამებსა და მასალებს და ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას.

ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე ზოგადი განათლების სისტემის განვითარების შესაბამისად შპს ინოვაციების სკოლა ანახლებს სტრატეგიული განვითარების გეგმას, რათა ამ გზით უზრუნველყოს სკოლის მისიისა და ამოცანების შესაბამისობა მუდმივად ცვალებად გარემოსთან.

2023-2024 აკადემიურ წელს შემუშავდა შპს ინოვაციების სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა იმოქმედებს მომავალი 7 წლის განმავლობაში (2023/24 – 2029/30 აკადემიური წლები).

SWOT ანალიზი

შპს ინოვაციების სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობდა 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით. პროცესი განხორციელდა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ და რომელშიც ჩართულია სამუშაო ჯგუფი. მეთოდოლოგიის თანახმად, შემუშავების პროცესი წარიმართა შემდეგი ციკლის შესაბამისად.

გარემოში არსებული ძალებისა და ორგანიზაციის შიდა პროცესების შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა ე. წ. SWOT ანალიზი. შედეგების საფუძველზე გამოავლინა შპს ინოვაციების სკოლის წინაშე არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები (OT ნაწილი), სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები (SW ნაწილი) და დაიტანა შესაბამის მატრიცაზე. სამუშაო ჯგუფმა SWOT ანალიზის შედეგაგანსაზღვრა გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები.

შპს ინოვაციების სკოლის შიდა და გარე ფაქტორების გასაანალიზებლად სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა სკოლის SWOT ანალიზი. SWOT ანალიზის შედეგად გამოვლინდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და, ამასთანავე, შესაძლებლობები და საფრთხეები, რამაც განაპირობა კონკრეტული სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების ჩამოყალიბება.



შპს ინოვაციების სკოლის ძლიერი მხარე:

1. სკოლის ცნობადობა, რეპუტაცია /იმიჯი;
2. სწავლების ინოვაციური პროცესი;
3. სკოლის აკადემიური პერსონალის გამოცდილება;
4. ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეებთან;
5. სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში თანამშრომელთა და მოსწავლეთა ჩართულობა;
6. უსაფრთხო გარემო;
7. მეგობრული და თანასწორუფლებიანი გარემო;
8. არაფორმარული განათლება

9. სკოლა 10 წლით ააქვს ნაქირავები შენობა 1747.1 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 2200 კვ.მ

შპს ინოვაცუების სკოლის სუსტი მხარე:

1.თანამშრომელთათვის ტრენინგების ნაკლებობა;

2. სპორტული დარბაზი

შპს ინოვაციების სკოლის წინაშე არსებული შესაძლებლობები:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება;

2. საკანონმდებლო რეფორმა/ცვლილება სკოლებისთვის აკადემიური თავისუფლების გაზრდის კუთხით

3. მომხმარებლის კმაყოფილება
4. მაწტავლებელთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება
5. გადასახადის გაზრდა თითოეულ მოსწავლეზე
6. მენტორ მასწავლებლებისთვის სტატუსის დანამატის გამოყოფა

შპს ინოვაციების სკოლის წინაშე არსებული საფრთხეები:

1.ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუარესება

2.კონკურენციის ზრდა

3.აკადემიური პერსონალის სიმცირე

4.ხელფასების მატება საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის

5.საკონონმდებლო ცვლილებები

2023/24 - 2029/30 აკადემიური წლების სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით შპს ინოვაციენის სკოლის სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით გაიმართა შეხვედრები და შემუშავდა სტრატეგიული მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, რომელიც წარედგინა პარტნიორთა კრებას. პარტნიორთა კრებამ განიხილა და დაამტკიცა შპს ინოვაციების სკოლის ძირითადი სტრატეგიული მიზნები, რომლის შესრულებისთვისაც იმოქმედებს სკოლა მომავალი 7 წლის განმავლობაში:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
2. ადამიანური რესურსის განვითარება;
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
7. ორგანიზაციული განვითარება.

პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებულ სტრატეგიული მიზნებს სტრუქტურულმა ერთეულებმა განსაზღვრეს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

ასევე, სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად პერიოდულად გადახედავს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანს ცვლილებებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

1. **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება**

- ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

სწავლა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას. ხარისხზე ორიენტირებულ სკოლაში მოსწავლე ეუფლება არა დასკვნების გამოტანისა და შეფასების გაკეთების უნარ-ჩვევებს. მოსწავლის განვითარების დინამიკის დადგენა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება არის სრულყოფილი და ხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება	ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა							
	სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა							
	სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება							

	აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა							

2. ადამიანური რესურსის განვითარება

- პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;
- აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა;
- ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება.

ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა წარმოუდგენელი და შეუძლებელია კვალიფიციური, მომზადებული და პროფესიულად მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლის გარეშე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. ამის განსახორციელებლად სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას, რაშიც მოიაზრება ტრენინგები, ვებინარები, სამუშაო შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა და ა.შ.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ადამიანური რესურსის განვითარება	პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება							
	აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა							
	ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება							

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება;
- საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება;

- ფინანსური მდგრადობა.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის საჭირო მატერიალური რესურსის არსებობა, სასკოლო ინვენტარით და საჭირო რესურსებით სასწავლო დაწესებულების უზრუნველყოფა, მძლავრი საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის განვითარება, ლაბორატორიების გამდიდრება და სხვა. სკოლაში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება							
	საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება							
	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება							
	ფინანსური მდგრადობა							

4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

სკოლაში სასწავლო პროცესი და ზოგადად აღზრდის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და ნდობის პრინციპებს. მოსწავლე უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. სკოლაში შექმნილი უნდა იყოს ყველა პირობა, რათა დაკმაყოფილებული იყოს სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნები. სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების მკაფიოდ შემუშავებული სისტემა, რომელშიც მოიაზრება მანდატურები, დარაჯები, ვიდეო კამერები, სახანძრო უსაფრთხოებისა ნორმების დაცვა, პრევენციული ღონისძიებები. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აუცილებელი ცოდნა კრიტიკულ სიტუაციებში ქცევის შესახებ და განუვითაროს შესაბამისი უნარ-ჩვევები.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება							

5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

- მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში;
- მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა;
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება.

სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება. სასკოლო საზოგადოებისათვის ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, წარმატებებსა და ინიციატივებზე. სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, რისი აუცილებელი პირობაცაა მათი ინფორმირებულობა.

სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სწორედ ამიტომ, სკოლის მმართველობითი კოლეგიური ორგანოების შემადგენლობა დაკომპლექტებულია როგორც სკოლის თანამშრომლების, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისაგან.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა	მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა							

	მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში							
	მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა							
	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა							
	მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება							

6. მოსწავლეთა მხარდაჭერა

- მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა;
- დამატებითი სერვისების განვითარება;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ნაყოფიერი სასწავლო პროცესის ფორმირებისთვის აუცილებელია მოწესრიგებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს დაცულად და კომფორტულად იგრძნობენ. სკოლის მიზანია პირველ რიგში უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, მოიპოვოს მისი ნდობა და შეუქმნას მას მიმღებლობითი გარემო. მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით ხდება სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და შემდგომში მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი მიღწევების წახალისება.

მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიცემა. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა კლუბებისა და დამატებითი მომსახურების შეთავაზება, სხვადასხვა სიახლეების შეთავაზება სასკოლო საზოგადოებისათვის.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
მოსწავლეთა მხარდაჭერა	მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა							
	დამატებითი სერვისების განვითარება							

	მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება							

7. ორგანიზაციული განვითარება

- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სკოლის ცნობადობის გაზრდა;
- სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება.

პარტნიორულ ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის განვითარებისთვის; პირველ რიგში, მნიშვნელოვანია პარტნიორობა სკოლის შიგნით, რათა ერთად მოხდეს პრობლემების გადაჭრა დასახული მიზნის მისაღწევად.

მეორე მხრივ, კონკურენტუნარიან გარემოში პარტნიორობა საჭიროა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სკოლებთან, კერძო პირებთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, უნივერსიტეტებთან, თემთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომელშიც სკოლის წარმატებით დაინტერესებული ყველა პირი მიიღებს მონაწილეობას.

ამასთან, აუცილებელია მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ და მომავალი ავტორიზაციის პროცესისათვის სკოლაში მოქმედი მექანიზმების დახვეწა.

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ორგანიზაციული განვითარება	სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა							
	სკოლის ცნობადობის გაზრდა							
	სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება							

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები

შპს ინოვაციების სკოლის სამუშაო ჯგუფი ახორციელებს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმების შექმნის პროცესს, შესრულების მონიტორინგს, შესრულებული სამუშაოების შეფასებასა და, საჭიროებისამებრ მათ კორექტირებას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცესი შედგება სამი ეტაპისგან:



ერთეულებთან.

ეტაპი 3: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირების ეტაპი

წინა ეტაპების გავლის შემდეგ სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტს საჭიროა თუ არა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა და იმოქმედებს შესაბამისად.

მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება შეიძლება განვითარდეს შემდეგი შესაძლო გზებით:

- თუ მოცემული სტრატეგიული ამოცანისა და აქტივობის შემთხვევაში ყველაფერი მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად, მიღწეულია დასახული სამიზნე ნიშნულები, მაშინ სამოქმედო გეგმის აღნიშნული ნაწილი გადავა შემდეგი წლის სამოქმედო გეგმაში.
- თუ მოცემული სტრატეგიული ამოცანისა და აქტივობის შემთხვევაში მიღწეული არ არის დასახული სამიზნე ნიშნულები, მაშინ ხდება მიზეზების დადგენა.

– თუ მისაღწევ ნიშნულებამდე ვერ მივდივართ იმის გამო, რომ გაწერილი სამოქმედო აქტივობები არ არის საკმარისი, მაშინ ხდება დამატებითი აქტივობების გენერირება, და დაგეგმვა. სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიას ჯგუფი შეიმუშავებს და წარუდგენს დირექტორს და დამტკიცების შემდგომ, განსახორციელებელი აქტივობები გაგრძელდება

განახლებული გეგმის შესაბამისად.

- თუ მისაღწევ ნიშნულებამდე ვერ მივდივართ იმიტომ, რომ შეიცვალა გარე და შიდა ფაქტორები ისე, რომ შეუძლებელია ამოცანის დასახულ ნიშნულამდე მიღწევა, ამ შემთხვევაში სამუშაო ჯგუფს ცვლილებები შეაქვს სტრატეგიული განვითარების გეგმაში (მაგ. შესაძლოა მოხდეს სამიზნე ნიშნულების განხილვა-ცვლილება, სტრატეგიული ამოცანის მოდიფიცირება და სხვ.). განახლებული

სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაფუძნებით ჯგუფი ცვლილებებს შეიტანს სამოქმედო გეგმაშიც. შემდგომ სამუშაო ჯგუფი ცვლილებების პროექტს წარუდგენს დირექტორს და საჭიროების შემთხვევაში გეგმას განახლებულ სახით დაამტკიცებს. განსახორციელებელი აქტივობები გაგრძელდება მოდიფიცირებული გეგმის შესაბამისად.